საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ბ-ნ გიორგი ჭავჭავაძეს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტის თამარ ვახტანგაძის პასუხი წერილზე № 01/12054

მოგესალმებით ბატონო გიორგი

თქვენი ა.წ. 03 ოქტომბრის № 01/12054 წერილი პასუხად მოგახსენებთ შეგდეგს:

1. არსებული კარდიოლოგიური დაავადებების მართვა საქართველოში შესაძლებელია.
2. ჩამოთვლილი მედიკამენტებიდან საქართველოში არის გაყიდვაში აცეტილსალიცილის მჟავა, ატორვასტატინი, რამიპრილი, დანარჩენი მედიკამენტების შესახებ ინფორმაცია არ მაქვს. ვფიქრობ, საჭიროა დაზუსტება წამლის სააგენტოში
3. ჩამოთვლილი კარდიოლოგიური მედიკამენტები მრავალი დასახელებითაა სააფთიაქო ქსელში.
4. საზღვარგარეთიდან მედიკამენტების შემოტანის შესაძლებლობის შესახებ არ მაქვს ინფორმაცია.
5. ვფიქრობ, ავადმყოფის მართვა უნდა მიმდინარეობდეს მრავალპროფილურ კლინიკაში, სადაც შესაძლებელი იქნება მრავალპროფილური გუნდის (უპირველეს ყოვლისა ონკოლოგების, რევმატოლოგების, კარდიოლოგების, ენდოკრინოლოგების, ნევროლოგების), საჭიროების შემთხვევაში კი დამატებით სხვა სპეციალობის ექიმების ჩართულობა მკურნალობისა და დიაგნოსტიკის სწორი ტაქტიკის შემუშავებაში. ასეთ კლინიკებად წარმომიდგენია
   A. კლინიკური მედიცინის ს/კ ინსტიტუტი (თოდუას კლინიკა) თევდორე მღვდლის 13.
   B. ნიუ ჰოსპიტალი - წინანდლის ქ. 13.
6. დაზღვევის შესახებ პასუხს ვერ გაგცემთ, ვფიქრობ კონკრეტული სადაზღვევო კომპანია უფრო ზუსტ ინფორმაციას მოგაწოდებთ.

პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს
ექსპერტი

თამარ ვახტანგაძე

08.10.2020